

ქართულ-ნორვეგიული საზაფხულო სკოლა ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

ბერგენის უნივერსიტეტის (ნორვეგია) ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, გთავაზობთ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოთ საზაფხულო სკოლაში. ორკვირიანი კურსის განმავლობაში თსუ-სა და ბერგენის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ანთროპოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს და შეიძინონ სავსელი კვლევის პრაქტიკული გამოცდილება.

საზაფხულო სკოლის შესახებ

საზაფხულო სკოლა გაიმართება ბორჯომში და გაიხსნება ინტენსიური ლექცია-სემინარებით კვლევის მეთოდების შესახებ. სამუშაო ენა - ინგლისური. თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს საშუალება ექნებათ შეუდგნენ სავსელი კვლევით სამუშაოს საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

სავსელი პრაქტიკა

ქართველი და ნორვეგიელი სტუდენტები დაიყოფიან ჯგუფებად (ერთი ქართველი და ერთი ნორვეგიელი მონაწილე თითო ჯგუფში) და ჩაერთვებიან 4-5 დღიან სავსელ სამუშაოში. მონაწილეებს საშუალება ექნებათ კვლევა ჩაატარონ როგორც ურბანულ დასახლებებში, ისე სოფლად მრავალფეროვან თემატიკაზე. სავსელ სამუშაოს დაგეგმვის პროცესში სტუდენტები კონსულტაციას მიიღებენ დარგის სპეციალისტებისაგან. სავსელი პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტები დაბრუნდებიან ბორჯომში, წარმოადგენენ სამუშაოს შედეგებს და დაწერენ კვლევის ანგარიშს.

მიღება

საზაფხულო პროგრამა განკუთვნილია ეთნოლოგიის და ანთროპოლოგიის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტებისათვის. სააპლიკაციო ფორმას უნდა დაერთოს აკადემიური მოსწრების დოკუმენტი (ნიშნების ფურცელი) და სამოტივაციო წერილი (ყველა დოკუმენტი ინგლისურ ენაზე). აუცილებელია, მონაწილე კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.

აპლიკაციის შესავსებათ დააჭირეთ [აქ](#).

საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 2021 წლის 15 თებერვალი!

პრაქტიკული ინფორმაცია

საზაფხულო სკოლა შედგება ივლისის მეორე ნახევარში და მასში მონაწილეობის ყველა ხარჯი დაფარული იქნება პროექტის მიერ. მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია და დაკმაყოფილდება მხოლოდ 14 კანდიდატი (7 საქართველოდან, 7 - ნორვეგიიდან). კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ბერგენის უნივერსიტეტი გასცემს 5 ECTS-ს.

COVID-19

ჩვენი მოლოდინია, რომ წლევანდელი საზაფხულო სკოლა ჩატარდება ისეთივე პირობებში, როგორც წინა, პანდემიანდელ პერიოდში. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი განხორციელების ფორმატზე შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს ივლისში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ და შეკრებასთან და გადაადგილებასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა. საზაფხულო სკოლის მსვლელობისას სრულიად და ზედმიწევნით იქნება გათვალისწინებული ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ:

ქეთევან ხუციშვილი - თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ketevan.khutsishvili@tsu.ge

გიორგი ჭეიშვილი - ბერგენის უნივერსიტეტის დოქტორანტი
giorgi.cheishvili@uib.no

საზაფხულო სკოლა ხორციელდება პროექტ [NorGePart](#)-ის ფარგლებში [DIKU](#)-ს ფინანსური მხარდაჭერით.